რა ბედი ელის ძველ მთავრობას, ახლად არჩეული პარლამენტის პირობებში? #ვარიანტი N3

კონსტიტუცია მუხლის 80

ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება და საქართველოს პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე

პრეზიდენტი

პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეტესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს

პრემიერ- მინისტრობის კანდიდატი

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ნდობის მისაღებად.

პარლამენტი

პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და კენჭი უყრა მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს, პარლამნეტმა ნდობა არ გამოუცხადა მთავრობას.

მთავრობის შემადგენლობის ხელახალი წარდგენა

მთავრობის შემადგენლობის პირველი წარდგენიდან 30 დღის ვადაში განმეორებით ეყრება კენჭი იგივე ან განახლებულ შემადგენლობის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტმა ამჯერადაც არ გამოუცხადა ნდობა მთავრობის შემადგენლობას

პრეზიდენტი

პრეზიდენტი7 დღის ვადაში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს პარლამენტის სიითი შემადგელობის არანაკლებ ორი მეხუთედის მიერ წარდგენილ კანდიდატურას. თუ პარლამენტის წევრთა სხვადასხვა შემადგენლობა 2 კანდიდატურას წარადგენს, პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს იმ კანდიდატურას, რომელიც უფრო მეტმა პარლამენტის წევრმა წარადგინა, ხოლო წარმდგენთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში-ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატურას

პრემიერობის კანდიდატი

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ნდობის მისაღებად.

პარლამენტის მიერ მთავრობის შექმნა

პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას.

პრემიერ-მინისტრის /მთავრობის წევრების დანიშვნა

პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებიდან პრეზიდენტი ორი დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პრემიერ-მინისტრი კი ორი დღის ვადაში მთავრობის წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება